პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 131 (13216) | შაბათი, 5 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ინდოეთის ფოლადისა და შახტების მინისტრი

4 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ინდოეთის ფოლადისა და შახტების მინისტრი სანჯივა რედი. ა. ნ. კოსიგინსა და ს. რედის შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარში მონაწილეობდნენ ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ტრილოკი ნატჰ კაული და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარე პ. ს. ნეპოროჟნი.

სკკპ დელეგაცია საბერძნეთში გაემგზავრა

სოფია, 4 ივნისი. (საკდესი). ბულგარეთში 10 დღის ყოფნის შემდეგ დღეს სოფიიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი.

4 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი. დელეგაცია ბულგარეთში იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით. (საკდესი).

ვიეტნამელები გმობენ

ჰანოი, 4 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს, რომ ახალი ზელანდიის მთავრობამ ჯარები გაგზავნა სამხრეთ ვიეტნამში აგრესიულ ომში მონაწილეობისათვის, იუწყება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით აცხადებს პროტესტს ახალი ზელანდიის მთავრობის ამ ნაბიჯის წინააღმდეგ, გმობს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ახალი ზელანდიის მთავრობას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებით მონაწილეობას იღებს სამხრეთ ვიეტნამში წარმოებულ ბინძურ ომში.

ბულგარეთის კომპარტიის განცხადება

მონტევიდეო, 4 ივნისი. (საკდესი). ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება. იგი გადაჭრით გმობს ეროვნული მთავრობის საბჭოს დეკრეტს, რომლითაც აკრძალულია კუბასთან სოლიდარობისა და ხალხთა თვითგამორკვევის დაცვის მეორე კონტინენტური კონგრესის მოწყობა მონტევიდეოში. კონგრესი 18 ივნისს უნდა გახსნილიყო.

ურუგვაის მთავრობის გადაწყვეტილება, ნათქვამია განცხადებაში, არღვევს ურუგვაელი ხალხის დემოკრატიულ თავისუფლებებს. იგი მიღებულია ამერიკის იმპერიალიზმისა და კონტინენტის ხუნტერო დიქტატურების ძალადური ზეგავლენით და მიზნად იცავს შენიღბოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომმა მოუწოდა მშრომელებს მსარი დაუჭირონ კუბას, დომინგოელი ხალხის ბრძოლას ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ, დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად და იმ ადგილის წინააღმდეგ, რომ განახორციელონ სახელმწიფო გადატრიალება დომინგოში.

ერჰარდი — ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 4 ივნისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ერჰარდი გუშინ ვაშინგტონში ჩამოვიდა. ამერიკაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა. ვაშინგტონში. დღეს იგი შეხვდება პრეზიდენტ ჯონსონს, სახელმწიფო მდივანს რასკს და თავდაცვის მინისტრს მაკნამარას.

ერჰარდს განზრახული არ ჰქონდა მაკნამარასთან შეხვედრა, მაგრამ ვაშინგტონში მისი ჩამოსვლის წინა დღეს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ მაკნამარა ისარგებლებს ამ ვიზიტით, რათა ერჰარდს განუმარტოს თავისი წინადადება, რომელიც მან ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა პარიზს თათბირზე წამოაყენა. ეს წინადადებაა, რომ ოთხი ან ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთაგან შეიქმნას სპეციალური კომიტეტი, რომელიც შეისწავლის ატომურ დაგეგმვას ნატოს ფარგლებში.

იალაღებისაკენ!

მოშობლიურ მთებს უბრუნდებიან ის ადამიანები, ვინც ქარხანა და წვიმაში, თოვლსა და უინგვაში თავს დასტრიალებდნენ ცხვარს. უკვე მოედინება ცხვარი ყიზლარიდან, შირვანიდან, ივრისპირეთიდან და რესპუბლიკის სხვა საზამთრო საძოვრებიდან. ფარებს მიუძღვიან შროშაში გამობრძმედილი დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგის, თიანეთის, წითელწყაროს, ხიღნაღისა და სხვა რაიონების ვაჟკაცები და საზაფხულო იალაღებისაკენ მიპყავთ ასეული ათასობით ცხვარი თავისი ნამატით.

ყოველწლიურად გრძელ და შორეულ გზას გადიან. შემოდგომით საზაფხულო იალაღებიდან ცხვარს კასპისპირეთში და სხვა საზამთრო საძოვრებისაკენ მიერეკებიან, ხოლო გაზაფხულზე ფარებს კვლავ მშობლიურ მთებში აბრუნებენ. სამედიცინო ვეტერინარული დახმარების გასაწევად ჩავიდნენ სპეციალისტები თბილისიდან, დუშეთიდან. ყაზბეგიდან, თიანეთიდან და სხვა რაიონებიდან. ყველაფერი მეცხვარეობისათვის. ცხვრის სანიმუშოდ გადარეკვისათვის! ამ დევნით მომდინარეობს საზამთრო საძოვრებიდან იალაღებზე ცხვრის გადარეკვა.

ახლა დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგის, თიანეთის და სხვა რაიონების ცხვარი დარიალის ხეობით მშობლიურ მთებს უახლოვდება, ხოლო ხიღნაღის, წითელწყაროსა და სხვა რაიონების ცხვარი სულ მალე თრიალეთის იალაღებზე დაიდებს ბინას.

საჭიროა საზამთრო საძოვრებიდან მომავალ მწყემსებს ყველა პირობა შეუქმნათ. მათ მუდამ უნდა ჰქონდეთ პირველი მოთხოვნილების საგნები, საკვები, თამბაქო, ახანთი და სხვ. გზაში უნდა იყოს მოძრავი ფარდულები. სასურველია მოწყოს მოძრავი სამზარეულოები, რომლებიც ცხელი კერძით უზრუნველყოფენ გზაში მყოფ ადამიანებს.

ფარებმა საზამთრო საძოვრები დატოვეს. იქ შეწყვა მეცხვარეთა ომახიანი შეძახილები. სამაგიეროდ, აგუგუნდა ტრაქტორები. დაიწყო საკვების დგროვება. საჭიროა აქედანვე მოვემზადოთ ცხვრისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, საზამთრო საძოვრებზე თივა ავიღოთ უდანაკარგოდ. არ უნდა გამეორდეს შარშანდელი ნაკლოვანებანი, როცა ზოგიერთ კოლმეურნეობას თივა საკმაოდ არ ჰქონდა და დაუწყნეხავიც იყო.

ხელსაყრელმა ამინდებმა ხელი შეუწყეს ბუნებრივი ბალახების გახარებას. თივა უხვად არის. მარტო კასპისპირეთის საძოვრებზე წელს მექანიზატორებმა 600 ათასი ცენტნერი თივა უნდა დაამზადონ. თიბვა დაიწყო. მიუხედავად ამისა, ჯავის რაიონის როკის, ფანელის, ედისის კოლმეურნეობებს თივის დამზადებაზე ხელშეკრულებები ყიზლარის საძოვრებზე ჯერაც არ გაუფორმებიათ. მსგავს ფაქტებს ლენინგორის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც შეხვდებით. ეს კი საფრთხეს შეუქმნის მეცხვარეობას.

საზაფხულო იალაღებზე ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ დროულად გამოიყოს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ცხვრის ფარები.

ახლა მეცხვარეთა წინაშე დიდი და რთული ამოცანები დგას. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ცხვარი საზამთრო საძოვრებიდან უდანაკარგოდ გადავრეკოთ იალაღებზე. მწყემსების ნაცვლად, რომლებსაც დასვენება ეკუთვნით, შევარჩიოთ მზემცველი მწყემსები, შევინარჩუნოთ ცხვრის სულადობა, გავადიდოთ პროდუქტიულობა, უთუოდ შევასრულოთ სახელმწიფოსათვის ცხვრის ყოველი სახეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმები. ეს საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების უურადღების ცენტრში უნდა იყოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალებში ნათქვამია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დასახული ღონისძიებანი დადებით როლს შეასრულებენ მხოლოდ მაშინ, თუ სათანადოდ წარვმართავთ ბრძოლას მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. როგორ მივაღწიოთ ამას, ეს თვითონ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ.

საჭიროა აგრეთვე განვახორციელოთ ღონისძიებანი მეცხვარეობის. განვთავრდაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. უწინარეს ყოვლისა რაიონებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა დავუწესოთ მეცხვარეობის პროდუქტების შესყიდვის მტკიცე გეგმა მთელი რიგი წლებისათვის. ამ გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, მისი სპეციალიზაცია, ბუნებრივი, ეკონომიური და სხვა პირობები.

სახელმწიფო მეცხოველეობაში აბანდებს დიდ დამატებით სახსრებს. მეცხვარეობაში პროდუქტების წარმოების ზრდის დასაჩქარებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა საჭიროდ ჩათვალა განხორციელდეს ზოგიერთი დამატებითი ღონისძიება სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად. დაწესდა ცხვრის ხორცის მოქმედი შესასყიდი და დამზადების ფასების დანამატები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 10 პროცენტის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან რაიონებში — 100 პროცენტი. ეს იმიტომ კეთდება, რომ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში რენტაბელური გახდეს მეცხვარეობა. პარტიულმა, საბჭოთა სამოწათმოქმედო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა გამოიყენონ ეს დიდი დახმარება და სწრაფად უზრუნველყონ ძირეული გარდატეხა მეცხვარეობის განვითარებაში.

უპატრონოდ

სოხუმი. (საკკორ.). შეჯამდა აფხაზეთის სსრ სამრეწველო საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა 1965 წლის პირველ კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სამრეწველო საწარმოთა შორის შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივს.

სამშენებლო ორგანიზაციათა შორის გაიმარჯვა „კრასნოდარგზასამშენის“ № 893 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელსაც ასევე გადაეცა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

აღნიშნულია აგრეთვე ტყვარჩელქვანასშირის ტრესტის № 1 შახტის, სოხუმის რძის ქარხნის, ხორცკომბინატისა და „საქჰიდროენერგომშენის“ სამშენებელო უბნის კოლექტივების კარგი მუშაობა.

თბილისი პირველი ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ნაყოფიერად შრომობს შეიდწლედის დამამთავრებელი წლის საწარმოო დავალებათა შესასრულებლად. საერთო და სასაქონლო პროდუქციების გამოშვების ხუთი თვის გეგმა აქ გადაჭარბებით არის შესრულებული.

თბილისელმა ავტოშემკეთებლებმა გეგმის გადამეტებით შეაკეთეს „ჰაზ-651“ და „ზილ-158“ ტიპის 15 სამგზავრო ავტობუსი.

მოწინავე ტექნიკისა და შრომის სწორი ორგანიზაციის საწარმოს კოლექტივმა შეძლო შრომის ნაყოფიერება 5,2 პროცენტით უფრო მეტად გაეზარდა, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

ბუშინ კურორტ გაგრასა და სამტრედიაში თბილისის პირველი ლუდის ქარხნის კოლექტივმა გაგზავნა მორიგი პარტია თავისი პროდუქციისა. აქ უშვებენ „ეიგულეთსკურ“, „რიგულ“, „უკრაინულ“ და „მოსკოვურ“ ლუდს.

ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ფაბრიკის კოლექტივმა ნაყოფიერად იმუშავა. ხუთი თვის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები გადაჭარბებით შესრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 7.238 დეკალიტრი ლუდი.

აღსანიშნავია, რომ საწარმომ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წელს მომხმარებელს ათი ათასი დეკალიტრით მეტი პროდუქცია მიაწოდა.

ე. გერჰარდსენი სსრ კავშირში

ბუხარა, 4 ივნისი. (საკდესი). ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენმა და ნორვეგიელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა დათვალიერეს ძველი ბუხარა.

ნორვეგიის მთავრობის მეთაურს თან ახლდნენ უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ზაბიმოვი, სსრ კავშირის მინისტრი ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ლ. ორლოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი ნორვეგიაში ნ. მ. ლუნკინი და სხვა ოფიციალური პირები.

ე. გერჰარდსენი დაინტერესა ქალაქის ერთერთმა ძველმა შენობამ — მედრესემ, რომელიც ბუხარის უანასკნელმა ემირმა ალიმ თავისი დედის ბიბიხანუმის ხსოვნის აღსანიშნავად. ახლა აქ ქალაქის ბიბლიოთეკაა, რომელიც ბუხარის მკვიდრის, დიდი აღმოსავლელი მოაზროვნის ავიცენას სახელს ატარებს. ბიბლიოთეკაში ინახება ავიცენას წიგნის „მედიცინის კანონის“ ერთ-ერთი თავის ხელნაწერი.

სტუმრებმა დათვალიერეს 1127 წელს აგებული კალანის მეჩეთი, განთქმული 48 მეტრი სიმაღლის მინარეთი და სხვა ძველი ძეგლები, აგრეთვე ქალაქის თანამედროვე ნაწილი. ბუხარაში ახლა ასი ათასზე მეტი მცხოვრებია, რომელნიმე ათეული სამრეწველო საწარმო მუშაობს.

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა თქვა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ არა მარტო ძეგლებმა, არამედ ბუხარის ახალმა ცხოვრებამაც.

ხელეგი შორს ვიეტნამიდან

აგრესია უნდა შეწყდეს!

ამერიკელთა აგრესია ვიეტნამში სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებს. ამერიკელი იმპერიალისტები განუწყვეტლივ ადიდებენ თავიანთი ჯარების რიცხვს და აცხადებენ, რომ არ წავლენ ვიეტნამიდან. მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა გმობს ოკეანესგაღმელ აგრესორთა ბოროტმოქმედებას და გადაჭრით მოითხოვს დაუყოვნებელივ შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი მოქმედება ვიეტნამში. ეს აგრესია საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ქართველი საზოგადოებრიობა უერთდება მოწინავე კაცობრიობის პროტესტს და სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამის ხალხს, მოითხოვს ამერიკამ შეწყვიტოს აგრესია და გაიყვანოს მთელი ჯარები ვიეტნამიდან.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი შ. ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე.

სოლიდაროგას უცხადეგენ

ხაკავშირო პროფსაბჭომ ვიეტნამის მებრძოლ ხალხთან სოლიდარობის მეორე საერთაშორისო პროფფაკავშირული კონფერენციის დაპატიჟა გაუგზავნა, რომელშიც საბჭოთა კავშირის მუშებისა და მოსაამსახურეების სახელით მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის კონფერენციის მონაწილეებს.

კონფერენციის მოწვევა, რომელშიც მონაწილეობენ 60 ქვეყნის მუშათა კლასის წარმომადგენლები, აღნიშნულია დეპეშაში, თვალსაჩინოდ ადასტურებს, თუ რა ფართო გაქანება მოიპოვა მსოფლიოში ვიეტნამის გმირ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობამ.

საბჭოთა პროფკავშირები მტკიცედ უჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან საქმეს, რომელიც თავდადებით იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა პროფკავშირები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისთვის, რომ კიდევ უფრო ფართოდ განავითარონ ვიეტნამის ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობის მოძრაობა, გაუწიონ დახმარება და მხარდაჭერა. შარშან საბჭოთა პროფკავშირებმა სამხრეთ ვიეტნამის მებრძოლებს ასი ათასი მანეთის მატერიალური დახმარება გაუწიეს. ამას წინათ საკავშირო პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება ასევითვე დახმარება გაუწიოს მათ 800 ათასი მანეთის მედიკამენტებით, ტრანსპორტის საშუალებებით, ქსოვილებითა და სურსათით. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

იმის გამო, რომ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, რაც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ნიღბით ხორციელდება, სსრ კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ნ. ტ. ფედორენკომ საბჭოთა მთავრობის დავალებით ამა წლის 3 ივნისს უშიშროების საბჭოში გააკეთა შემდეგი განცხადება:

„შეერთებული შტატები, რომლებმაც მოახდინეს აშკარა სამხედრო ინტერვენცია სუვერენული სახელმწიფოს — დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და ამით უხეშად დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უმნიშვნელოვანესი პრინციპები და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, თავიანთი აგრესიული მოქმედების შესანიღბავად იყენებენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას. ამ წლის 6 მაისს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირმა, მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები თათბირის მონაწილენი გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ, ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი ზეგავლენით მიიღო გადაწყვეტილება ეგრეთწოდებული „ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების“ შექმნისა და დომინგოს რესპუბლიკაში გამოყენების შესახებ.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ეს გადაწყვეტილება აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილება არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლს, რომელიც კრძალავს ძალის თუ ძალის მუქარის გამოყენებას ხელისა. შორისო ურთიერთობაში „როგორც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისევე რამე სხვაგვარად, რაც გაერთიანებული ერების მიზნებს არ შეესაბამება“.

ეს გადაწყვეტილება არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 39-ე მუხლს, რომლის თანახმად მხოლოდ უშიშროების საბჭოა ის ორგანო, რომელიც განსაზღვრავს, „არის თუ არა რამე საფრთხე მშვიდობისათვის, მშვიდობის რაიმე დარღვევა ან აგრესიის აქტი“, და წყვეტს, რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს „საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ან აღსადგენად.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება წესდების 53-ე მუხლს, რომლის შესაბამისად რეგიონალურ შეთანხმებათა საფუძველზე ან რეგიონალური ორგანოები ვერ განახორციელებენ რაიმე იძულებითს მოქმედებას, თუ „უფლებამოსილი არ იქნებიან უშიშროების საბჭოსაგან“.

მაშასადამე, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილება არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად დებულებებს და ამატომ უკანონოა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანგარიში არ გაუწიეს არც იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდებით და ამერიკის სახელმწიფოთა სხვა შეთანხმებებით. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების მე-15 მუხლის თანახმად არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არავითარი სიბაბით არა აქვთ უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩაერიონ რომელიმე სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

ეგრეთწოდებულ „ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების“ შექმნის შემდეგ, რომლებსაც დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის იყენებენ, ახლა შეერთებული შტატები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ შეიქმნას ამერიკის სახელმწიფოთა მუდმივი ჯარები, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს. ეს სიფრთხილე ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ძალები ცდილობენ მეითვისონ უფლება, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ალმით ჩაერიონ ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რათა გაუხეშორდნენ მათთვის არასასურველ მთავრობებსა და დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის იბრძვიან.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რა ხეროოული შედეგები შეიძლება მომყვეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას — ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გამოყენებას თავიანთი ავრესიული მიზნებისათვის, წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა.

არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აღნიშნული მოქმედება ახალი გამოვლინებაა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსისა. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში მოჰყვა ამერიკის აგრესიას ინდოჩინეთში, კოლონიურ სახელმწიფოთა ინტერვენციას კონგოში, იმპერიალისტური ძალების ჩარევას მოსფლიოს სხვა რაიონების სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში.

საბჭოთა მთავრობა ეოუწოდებს უშიშროების საბჭოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგნენ თვითნებობისა და უკანონობის ჩადენის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უმნიშვნელოვანეს დებულებათა უტიფრად დარღვევის ცდებს. საჭიროა ბოლო მოეღოს ამერიკის აგრესიას დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, განხორციელდეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების. მთელი უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა აქედან. საჭიროა აღიკვეთოს შეერთებული შტატების მიერ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის შემდგომი გამოყენება თავისი იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად, სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში ჩასარევად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

როგორ სრულდება კანონი საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების შესახებ რესპუბლიკაში

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება კანონი საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების შესახებ რესპუბლიკაში. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. მ. ბუაჩიძემ.

აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა ამ მიმართულებით. გაიზარდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, შემცირდა სკოლიდან გასული ბავშვთა რიცხვი, ამაღლდა აღმზრდელობითი მუშაობის დონე და გაუმჯობესდა მუშაობა მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის. განმტკიცდა სკოლების მატერიალური და სასწავლო-ტექნიკური ბაზა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბჭოებს სესიებსა და აღმასკომებს სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ საყოველთაო სწავლების საკითხებს, იღებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს, რომ სკოლას დაუბრუნდნენ გასული ბავშვები.

მიმდინარე სასწავლო წლის დამდეგისათვის ბავშვთა სკოლებში ჩარიცხვის გეგმა წარმატებით შესრულდა აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში — ქუთაისში, რუსთავში, მახარაძის, ხიღნაღის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ამბროლაურის და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა სკოლების მშენებლობა ორგანიზაციათა და საწარმოთა ინიციატივით. საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებით სკოლები აშენდა აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქუთაისში, რუსთავში, მახარაძის, ხიღნაღის, გურჯაანის, ლანჩხუთის, თელავისა და სხვა რაიონებში.

ამასთანავე საყოველთაო სწავლების შესახებ კანონის შესრულების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანია.

არ სრულდება ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში ბავშვთა ჩარიცხვის გეგმა. მიმდინარე სასწავლო წელს სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლებში ჩარიცხვის გეგმა შესრულდა 99,3 პროცენტით.

ვერ შესრულდა ბავშვთა სკოლებში ჩარიცხვის გეგმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ფოთში, ჭიათურაში, ახალქალაქის, გეგეჭკორის, მარნეულის, მესტიის, ჩოხატაურის, გურჯაანისა და ბოლნისის რაიონებში.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ 1965 წლის 1 ივნისისთვის ახალციხის რაიონში სკოლის გარეთ დარჩა 55 ბავშვი, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში — 45, ლენტეხის რაიონში — 15.

განათლების ადგილობრივი ორგანოები საკმაოდ არ ზრუნავენ მოსწავლეთა კონტინგენტის შეგარჩენებისათვის. მარტო მიმდინარე სასწავლო წლის დამდეგს რესპუბლიკის სკოლებიდან გავიდა 918 ბავშვი.

ჯერ კიდევ დიდია ორწლიანთა რიცხვი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებას ვერ აღწევს სწავლაში. ამის ძირითადი მიზეზია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე ზოგიერთ სკოლაში.

საკმაოდ არ ვითარდება სასკოლო ინტერნატებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელი. რის შედეგად ვერ სწავლობს ბევრი ბავშვი, რომლებსაც ფიზიკური და გონებრივი ნაკლი აქვთ. მაგალითად, ასეთი ბავშვები ონის რაიონში არის 8, ამბროლაურის რაიონში—9.

საკმარისი არ არის გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და კლასების რაოდენობა. მაგალითად, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონში არ არის ასეთი სკოლები. რაიონში მოწყობილია მხოლოდ გახანგრძლივებული დღის 14 ჯგუფი, რომლებშიც ჩარიცხულია 557 მოსწავლე, მაშინ როცა მოთხოვნილება ასეთ ჯგუფებზე ამ რაიონში დიდია.

საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი სკოლები მატერიალური და სასწავლო-ტექნიკური ბაზით. დღითიდღე ეიდება გაღსნავეება მოსწავლეთა კონტინგენტსა და სასწავლო ადგილების რაოდენობას შორის. თითქმის ყველგან — როგორც ქალაქად, ისე სოფლად, — მეცადინეობა წარმოებს ორ ან სამ ცვლად. ბევრია სკოლა, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარით, ზოგიერთ სკოლაში არ არის ფიზიკის, ქიმიისა და სხვა კაბინეტების მოწყობილობა, აკლიათ თვალსაჩინო ხელსაწყოები.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არღვევენ მთავრობის დადგენილებას პედაგოგთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ. ყველგან როდი უზრუნველყოფენ სოფლის მასწავლებლებს უფასო კომუნალური მომსახურებით. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა პედაგოგთა სანიტარო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს სახლების მშენებლობა სოფლის მასწავლებლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაეკალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განსაკუთრებული უურადღება მიაქციოს ნაკლოვანებებს, რომლებიც არის საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების შესახებ კანონის შესრულების საკმეში, მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ბავშვის რვაწლიანი განათლება, გაუმჯობესდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში, აღმოიფხვრას მოსწავლეთა გასვლისა და ორწლიანობის მიზეზები, განმტკიცდეს დისციპლინა, გაფართოვდეს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და კლასების ქსელი, აგრეთვე სასკოლო ინტერნ

ავაკილოთ პარტორგანიზაციების როლი და აქტივობა

პარტიული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა. მასების შეგაგულში ყოფნა, ადამიანებთან ხიბლოვნე, მათი აზრებისა და ფიქრების გაგება-გათვალისწინება, ახლის გრძნობა და თაოსნობა — აი რა მოეთხოვება ყოველ პარტიულ მუშაკს. ასეთი შემოქმედებითი, ინიციატივიანი მუშაობისათვის ფართო გასაქანი მოგვცეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმებმა, განსაკუთრებით კი მარტის პლენუმის ისტორიულმა გადწყვეტილებებმა.

მაგრამ პარტიული მუშაობა თვითმიზანი როდია. მან უნდა განაპირობოს პარტიის წინასწარდასახულმათა განხორციელება, სამეურნეო-კულტურული მშენებლობის წარმატება, ადამიანთა კეთილდღეობის აღმავლობა, მშრომელთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით.

ხუთი თვეა შეიქმნა თერჯოლის რაიონი და მისი პარტიული კომიტეტი. გადადგმულია პირველი ნაბიჯები. რაიონის კოლმეურნეობებმა 20 მილიასათვის გადაპარებებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის. რძის, კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის დავალებები. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თერჯოლის ლენინის სახელობის, რუფოთის, თუნის, კვაბეჩირის, გოდოგნის კოლმეურნეობებმა. რძის წარმოება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 620 ცენტნერით გადიდდა, ხოლო თვითეული ძროხის წველადობა 52 კილოგრამით. მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკის დაცვით მოვაწყეთ საგაზაფხულო თესვა, ვენახებისა და ბაღ-ბოსტნების დამუშავება. გეგმის ზეგით დავთესეთ 250 ჰექტარი სიმინდი. წარმატებით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება.

ჩვენი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ რაიკომის წევრებისა და აქტივის მონაწილეობით საფუძვლიანად შევისწავლეთ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, მათი ორგანიზატორული როლი და ბრძოლისუნარიანობა. გულახდილად თუ ვიტყვით, სახარბიელო სურათი როდი დადგებულა. რაიკომის ბიურომ სერიოზულად იმსჯელა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, თვითმოქმედებისა და ინიციატივის ამაღლებაზე და ამ მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ხაზოგადოებრივ შრომაში კომუნისტების ავანგარდული როლი ძალიან დაბალი იყო სოფლების თუნის, ჭგალათვარდიგორისა და ახალი ფერჯოლის კოლმეურნეობებში. რაიონული კომიტეტის ბიურომ ეს საკითხი სპეციალურად განიხილა. აღინიშნა, რომ თუნელმა კომუნისტებმა გ. გოცაძემ, კ. მაჩიკაძემ, ა. სახეჩიძემ, ი. ჩაფიძემ მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთებზე მხოლოდ ერთი-ორი ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ამის გამო კომუნისტები მკაცრად გავაფრთხილეთ და ეს გაკვეთილი გახდა მათთვის. ახლა ყველა კომუნისტი ენერგიულად შრომობს. მათ სანიმუშოდ აქვთ დამუშავებული საკოლმეურნეო ნაკვეთები. პირადი მაგალითით რაზმავენ ადამიანებს.

ჩვენი რაიონის ეკონომიკის მთავარი დარგია მევენახეობა. მაგრამ ზვრების ნაწილი წლების მანძილზე ძალიან გამეჩხერებულა. გადავწყვიტეთ ეს საკითხი შეგვესწავლა და რაიკომის პლენუმის მსჯელობის საგნად გაგვეხადა. საკითხის მომზადებაში ჩავაბით რაიკომის წევრები, აქტივისტები, სპეციალისტები, კოლმეურნე კომუნისტები. პლენუმზე პირუთვნელად, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად ვამხილეთ სერიოზული ნაკლოვანებები, დავსახეთ ღონისძიებანი და გავშალეთ ფართო ორგანიზატორული მუშაობა საზოგადოებრივი მეკენახეობის განვითარებისათვის. პირველი შედეგები ცუდი როდია. ყველა კოლმეურნეობაში კარგად და დროულად დამუშავდა ვენახები, შესრულდა მწვანე ოპერაციები, ვაზებს დაეტოვა 150 ათასამდე მწვანე ყლორტი, რომელთა გადაწყვეტა ივნისის ბოლოს დაიწყება. სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ გადაწყვეტილია 55 ათასი ძირი ლერწი, ხოლო სადედე მეურნეობა 12,5 ჰექტარზე მოეწყო.

პარტიის რაიკომმა და საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიური კონტროლი დაუწესეს პლენუმის ამ დადგენილების შესრულებისადმი. რაიონთან არსებული სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილება, რომელსაც აგრონომი რ. არაბიძე ხელმძღვანელობს, პერიოდულად ამოწმებს რაიკომის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას. საკითხის მომზადებაში მონაწილეობენ სპეციალისტები გ. ბასილაძე, ნ. ჩინჩალაძე, ლ. გოგიშვილი, ლ. კვინიკაძე, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მოწინავე მევენახეები.

რაიონული კომიტეტი გულდასმით უსმენს კომუნისტთა აზრსა და წინადადებებს, გასაკანს აძლევს და მხარს უჭერს მათს თაოსნობას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ფაქტებს. სოფელ თუნის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ უკუსვლა იწყო. მისი თავმჯდომარე თ. მარუაშვილი ხანში შევიდა, ჯანმრთელობამაც უღალატა და განთავისუფლება ითხოვა. რაიკომმა ახალი თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევა სოფლის კომუნისტებს მიანდო. მათ კარგად მოიფიქრეს, პარტიულ კრებაზე იმსჯელეს და თავიანთ რიგებში გამოძებნეს თავმჯდომარის კანდიდატურა. კოლმეურნეთა საერთო კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ახალ კანდიდატურას, და თავმჯდომარედ თანასოფლელი ვ. ღავთაძე აირჩიეს.

ადგილობრივი მკვიდრის ხელმძღვანელ პოსტზე არჩევა იმით არის კარგი, რომ მან კარგად იცის თავისი სოფლის ავ-კარგი, ზრუნავს მის მომავალზე და მშრომელებიც მხარს უჭერენ მის კარგ წამოწყებებს. ავიღოთ თუნდაც ისევ ვ. ღავთაძის მაგალითი. უნდა ითქვას, რომ თუნელი კომუნისტებმა და მშრომელები არჩევანში არ შემცდარან. ვ. ღავთაძემ გულიანად მოჰკიდა საქმეს ხელი და ეს კიდევ დაეტყო კოლმეურნეობას. აქ ნათესებსა და ზვრებს სანიმუშოდ უვლიან, მეცხოველეობის ფერმაში პროდუქტიულობა ამაღლდა, გადაჭარბებით სრულდება დამზადებათა გეგმები. ამ საქმეში ნათლად ჩანს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის დამრაზმავი როლი.

სოფელ გოდოგნის კოლმეურნეობის ფერმა ადრე მოწინავედ ითვლებოდა, მაგრამ იქ მდგომარეობა ერთბაშად გაუარესდა, შრომის ორგანიზაცია მოიშალა, წველადობამ იკლო. ადგილზე გავეცანით მდგომარეობას, დავწუნდით სერიოზულ ნაკლოვანებებში. საკითხის შესწავლა ამჯერადაც საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას მივანდეთ. კოლმეურნე კომუნისტებმა იმსჯელეს ფერმის მუშაობაზე, დააყენეს მისი გამგის გ. კერკიტაძის განთავისუფლების საკითხი და მის ნაცვლად კოლუნტის გ. გიორგაძის კანდიდატურა წამოაყენეს. რაიკომმა და კოლმეურნეობის გამგეობამ მხარი დაუჭირეს კომუნისტების წინადადებას. მართალია, ეს მხოლოდ ორი თვის წინათ მოხდა. მაგრამ ფერმაში უკვე იგრძნობა მდგომარეობის გაუმჯობესება — ერთიორად გაიზარდა წველადობა.

ჩაის კულტურას სოფელ ძევრში 60 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. მაგრამ მოუვლელობით პლანტაციები დაკნინებულია. საქმეში პარტიის რაიონული კომიტეტი და სოფლის მეურნეობის სამმართველო ჩაერივნენ. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად საკითხს საფუძვლიანად ვსწავლობთ და კონკრეტულ ღონისძიებებს ვახორციელებთ.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ბევრ კარგ თაოსნობას იჩენენ. კომუნისტების ინიციატივით კვახჭირელმა მშრომელებმა უხვი მოსავლისათვის შეჯიბრება გააჩაღეს და რაიონის კოლმეურნეობებს მოწოდებით მიმართეს. რაიკომმა მოიწონა მათი თაოსნობა. კვახჭირელები სიტყვას არ ტეხენ, საგაზაფხულო თესვა 25 აპრილისათვის დაამთავრეს, კარგად უვლიან ნათესებს, ჩაის და უხე მოსავალს მოელიან.

რაიკომი, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები და სოფლის მეურნეობის სამმართველო ზრუნავენ მეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის. მაისის შუა რიცხვებში ზონალური თათბირები მოვაწყეთ სოფლებში რუფოთში, ძევრში, ხაზნაში, ბარდუანაში და თერჯოლაში. ვენახების აგროტექნიკის, ვაზის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებების, ნიადაგის დამუშავებისა და სასუქების გამოყენების საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები გ. გამცემლიძე, კ. სუთიძე და ნ. კირკიტაძე. სოფლის მეურნეობის ნოვატორებისა და გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მუშაობენ მევენახეთა, მესიმინდეთა, მეჩაიეთა და მეცხოველეთა სკოლები. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. წინ დიდი სამუშაოა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის ზონალური თათბირები მოვაწყეთ თერჯოლაში, ჩხარში, ხაზნაში, ქვედა სიმონეთსა და ჭოგანარში. ვიმსჯელეთ იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ამოცანებზე. საგიგანციო-მასობრივ მუშაობას აღმავლობა დაეტყო ხაზნაში, ჩხარსა და კვახჭირში (აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები ალ. ჯაფარიძე, დ. კაპკაპიშვილი და კ. რევიშვილი).

ჩვენი რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

რაიონის მშრომელთა ვალდებულებაა წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 9.760 ტონა ყურძენი, 1.500 ტონა ბოსტნეული, 800 ტონაზე მეტი ხორცი, 1.404 ტონა რძე და სხვა პროდუქტები. ეს მოითხოვს შეუპოვარ მუშაობას, კომუნისტთა როლისა და აქტივობის ზრდას, პარტიული მუშაობის სტილის სრულყოფას. ამისათვის არაფერს არ დავიშურებთ.

ი. ყიფშიანი.

საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი.

ძალდაუფიცულთა ფეხვედრა

ნინა კვირაოდეს ამხანაგთან ერთად ფუნიკულორზე ასვლა გადავწყვიტე. ქვეითად წავედით სადგურისაკენ. მთაწმინდის ძირას, პატარა ბაღში, ჩამოვსხედით. ცოტა ხანს შევისვენეთ, ვთქვით. ბაღში ჯალარაშერთული ვაჟკაცები ირეოდნენ, რაღაც უჩვეულო სხარული და მდელვარება ეტყობოდათ. დროდადრო ვინმე ახალი რომ შეემატებოდათ, ყველა მისკენ გაეშურებოდა. ამ შეხვედრაში რაღაც სასიხარულოც იყო და ნაღვლიანიც.

გამოველაპარაკეთ. ომის ქარცეცხლში ძმაფშეფიცულნი აღმოჩნდნენ. დღეს ფურმე შეხვედრა ჰქონიათ დათქმული. შეხვედრის ზეთაკვა ა. ორახელაშვილი მოგძებნეთ. აი რა გვიამბო მან:

— ჯერ კიდევ ომამდე თბილისიდან წვევამდელთა ეშელონი გავიდა. სადგურ ლისაში ეშელონი ორად გაიყო. თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული სამასი ახალგაზრდა მოკუნდით 149-ე მსროლელი დივიზიის 479-ე პოლკში. დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი თ. ზახაროვი იყო. ხავალდებულთ სამხედრო სამსახურის დამთავრებას ბევრი აღარაფერი გვიკლდა, ომმა რომ მოგვისწრო. დივიზიამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. მრავალი ჩვენი თანამემამულე გმირულად დაეცა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ა თ ვ ი ს ბრძოლაში.

ომი დამთავრდა. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. თითქმის ვეღარავის ვხვდებოდი. დიდი ძებნის შემდეგ შარშან თვრამეტ კაცს ვიპოვნეთ. ეს ბედნიერ ადამიანებს მიმართეთ და ეკითხეთ: — ტყვეობაში ბანაკებში ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

ვეგობრული თანამშრომლობა

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლეგიუმის ფუსტერდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან

◆

სოფია, 4 ივნისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ფუსტერდა ბულგარეთში მყოფ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ა. სუსლოვი.

საუბრის დროს, რომელმაც გულითადმეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, გაითა აზრთა გაზიარება ორივე პარტიისა და ორივე ქვეყნის უთანაბრაინტერესო საკითხებზე. აზრთა გაზიარებამ ცხადყო ორი მხარის პარტიის შეხედულებათა სრული ერთობა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხში. ძმა რეებმა ეთქვა, ხელოვნად აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ვიზიტი ბულგარეთში ახალი ნაბიჯია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების გზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მ. ა. სუსლოვმა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხუთრობის კანდიდატებს და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძმებებს გადასცა საიუბილეო მედლები „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წლისთავი“ მათი აქტიური მონაწილეობისათვის ერთობლივ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ, როგორც ორი ქვეყნის ხალხების მეგობრობის გამოხატულება და ნიშნად ერთობლივი ბრძოლისა იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ.

ავლაგმოთ ბონელი მილიტარისტები!

ბერლინი, 3 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გადაჭრით წინააღმდეგია, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელი იგდოს ატომური იარაღი, რა ფორმითაც უნდა იყოს, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე. რომელიც დღეს გაიმართა აქ. ბონელი რევანშისტები, თქვა მან, ადგენენ საშიშ გეგმებს მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ და ცდილობენ რადაც უნდა დაუჭდეთ მოიპოვონ ატომური იარაღი. ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის ამოცანაა ხელი შეუშალოს ბუნდესვერის ატომურ შეიარაღებას, ალაგმოს რაინელი მილიტარისტები.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი შეეხო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ოსიპ ბროზ ტიტოს მომავალ ვიზიტს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის თანამშრომლობის განვითარებაზე.

ᲓᲝᲛᲘᲜᲒᲝᲡᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი იუწყება:

გუშინ უშიშროების საბჭომ საბჭოთა კავშირის მოთხოვნით სასწრაფო სხდომაზე განაახლა განხილვა საკითხისა: ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

კაამანიოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ორი დეპეშით აცნობა საბჭოთა თავმჯდომარეს, რომ გენერალ იმმერტის რეაქციული ხუნტა მასობრივ მხეცობას სჩადის დედაქალაქის რაიონებსა და პროვინციაში, რომლებსაც იგი კონტროლს უწევს. საგარეო საქმეთა მინისტრმა კურიმ გარკვევით აღნიშნა, რომ დომინგოს რესპუბლიკაში ვითარების განუწყვეტელი გაუარესება იმის შედეგია, რომ გრძელდება ქვეყნის ოკუპაცია ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მიერ, რომლებიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ალმით მოქმედებენ. მან სთხოვა საბჭოს დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი და გაგზავნოს დომინგოს რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა კომისიის ჯგუფი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი იოსტი გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭომ განაახლოს დომინგოს რესპუბლიკის საქმეებში შეიარაღებული ჩარევის საკითხის განხილვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, რაც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ნიღბით ხორციელდება, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ საბჭოთა მთავრობის დაკვალებით გამოაქვეყნა განცხადება.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ჩარლზ იოსტის ცდა გაემართლებინა შეერთებული შტატების მოქმედება, რომელიც არყევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძვლებს, სულაც არ იყო დამაჯერებელი. იოსტმა განაცხადა, რომ ეგრეთწოდებული „ამერიკის სახელმწიფოთა ძალები“ არ მიმართავენ იძულებითის მოქმედებას და რომ ამიტომ მათი შექმნა არ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების წესდებას.

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲔᲜ „ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ“

ვაშინგტონი, 4 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ გუშინ დახურულ სხდომაზე მოისმინა სახელმწიფო მდივნის დ. რასკის განცხადება, რომელმაც ძნარი დაუჭირა პრეზიდენტ ჯონსონის მოთხოვნას, რომ საზღვარგარეთის დახმარებისათვის საერთო ასიგნებათა გარდა დამატებით გამოიყოს 89 მილიონი დოლარი „საშრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიური და სოციალური განვითარების“ პროგრამისათვის.

ამ პროგრამის პროპაგანდისტული ბასიათი სავსებით ცხადია. პრეზიდენტმა ეს პროგრამა წამოაყენა იმ დროს, როცა ამერიკის ავიაცია განუწყვეტლივ ბარბაროსულად ბომბავს სამხრეთ და ჩრდილოეთ ვიეტნამს, ხოცავს ადამიანებს და დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს.

89 მილიონი დოლარი, რაც პრეზიდენტის წინადადებით უნდა გამოიყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისადმი ეკონომიური „დახმარებისათვის“, არაფერია იმ სახსრებთან შედარებით, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახმარენ ვიეტნამის ომს.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ რასკის მოწოდების დაამტკიცონ ასიგნებანი „საერთოდ დადებითად შეხვდნენ“. რასკმა, ხენატის კომისიიდან რომ მიდიოდა, თქვა კომისიის წევრები ჩემს მოწოდებას „გაგებით“ შეხვდნენო.

3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ 300 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲛᲔᲕᲐᲠᲘ

ვაშინგტონი, 4 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოაცხადა, რომ მაისში უმუშევრობის დონე ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენდა ქვეყნის მუშა ხელის საერთო რიცხვის 4.6 პროცენტს. სულ შეერთებულ შტატებში 3.300.000 უმუშევარია.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

□ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ა. ნასერმა კაიროში მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმეშენის თავმჯდომარე ი. ტ. ნოვიკოვი, რომელიც ამ ქვეყანაში იმყოფება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით. ი. ტ. ნოვიკოვი შეხვდება აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებს და მათთან ერთად განიხილავს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების პრობლემებს.

□ ერთი დღის ვიზიტის შემდეგ პაკისტანიდან გაეგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, რომელიც ვიზიტად მიეგზავნება ტანზანიაში. ჯოუ ენ-ლაი პაკისტანის დედაქალაქში შეხვდა პაკისტანის პრეზიდენტს აიუბ ხანს.

□ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და კუბის რესპუბლიკის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჯანმრთელობის დაცვის დარგში, თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს მედიკ მეცნიერთა, სტუდენტთა და სპეციალისტთა გაცვლას, აგრეთვე ერთობლივ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას მედიცინის დარგში.

□ შვეიცარიის ქალაქ იენჩეპინეში გაიხსნა საოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობს 11 ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი.

□ საფრანგეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, ოქროსა და უცხოეთის ვალუტის მარაგი საფრანგეთში 31 მაისისათვის შეადგენდა 26.369 მილიონ ფრანკს, ესე იგი ერთ თვეში 128 მილიონი ფრანკით შემცირდა.

(საკდესი).

ᲡᲕᲐᲜᲐᲜ ᲡᲘᲜᲒᲭᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნაირობი, 4 ივნისი. (საკდესი). ინდოეთი მოითხოვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტას და მშვიდობიან მოწესრიგებას ვიეტნამში ჟენევის 1954 წლის შეთახმებათა საფუძველზე, განაცხადა აქ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა. იგი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე, მას შემდეგ რაც დაამთავრა კეთილი ნების ვიზიტი კენიაში. ამ ქვეყანაში ორი დღის ყოფნის მანძილზე სვარან სინგჰი შეხვდა კენიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯომო კენიატას, ვიცე-პრეზიდენტს ოგინგა ოდინგას, საგარეო საქმეთა მინისტრს ჯოზეფ მურუმბის. ამ შეხვედრების დროს, განაცხადა სვარან სინგჰმა, განვიხილეთ ორივე ქვეყნისათვის საინტერესო მთელი რიგი საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემები.

ᲡᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲘᲔᲗᲜᲐᲛᲘ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲜ

△ კიდევ ერთი დიდი წარმატება △ დამსჯელთა ზარალი △ ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში △ პატრიოტთა მოქმედება.

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). საიგონელ მარიონეტთა ჯარებმა მესამე დიდი დამარცხება განიცადეს უკანასკნელი ბუნი დღის მანძილზე. როგორც ფრანს-პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის ჯარების ბატალიონი დღეს პარტიზანთა ალყაში მოხვდა 75 კილომეტრზე ქალაქ პლეიკუს სამხრეთით. ამ ბატალიონის 350 ჯარისკაცის მეტი ნაწილი განადგურებულია.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბატალიონში მუყოფებოდნენ ამერიკელი კაპიტანი და ორი სხვა ამერიკელი სამხედრო მრჩეველი, რომლებიც ვერტმფრინავით გაფრინდნენ და ბედის ანაბარა მიატოვეს ვიეტნამელი ჯარისკაცები.

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლებში საიგონი ჯარებმა განვლილ კვირაში დიდი დანაკლისი განიცადეს: დახოცილი, დაჭრილი და უკვალოდ დაკარგულია 1.075 კაცი. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს საიგონის ამერიკელთა წრეებს. აქ არ შედის ზარალი, რაც მთავრობის ჯარებმა განიცადეს ორი დღის ბრძოლების დროს კუანგ-ნგასთან წარსული კვირის დამლევს, აღნიშნავს კორესპონდენტი.

კუანგ-ნგასთან სამხრეთ ვიეტნამელმა პატრიოტებმა გაანადგურეს დამსჯელთა სამი ბატალიონი, დახოცეს 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სამხრეთ ვიეტნამის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოიპოვოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. პატრიოტთა წინააღმდეგობას ვერ გატეხს ვერც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გაძლიერებული რეპრესიები, ვერც ნაპალმი, გაზები და ბომბები.

სურათზე: სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მეომრები.

(აან)

● რიკელთა წრეებს.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ჟაბა, 3 ივნისი. (საკდესი). ჰოლანდიის რაიონებში, რომლებიც ოიინს ესაზღვრებიან, გაიმართა ახალი ადმინისტრაციული ორგანოს — „მდინარე ოიინის საბჭოს“ არჩევნები. საბჭო გაანაგებს ჰოლანდიის ამ ხაზილის სამრეწველო და სიბინაო მშენებლობის საკითხებს. ამ ორგანოს შექმნა გამოწვეულია ოიინის საარეწველო გავითარების მაღალი დონით.

არჩევნებში მონაწილეობდა 9 პოლიტიკური პარტია. ნიდერლანდის კომუნისტურმა პარტიამ შეაგროვა 28.124 ხმა და მოიპოვა ოთხი ადგილი საბჭოში. პარლამენტის 1963 წლის არჩევნებში კომუნისტური პარტიის კანდიდატებს ამ რაიონში ხმა მისცა 19.510 კაცმა. ჰოლანდიის გაზეთები დღეს აღნიშნავენ კომუნისტური პარტიის ამ წარმატებას.

◆

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡᲐᲒᲠᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲨᲘᲨᲘᲚᲝᲑᲐ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). ვენესუელის პოლიტიკურმა პატიმრებმა, რომლებიც კოალიციის მთავარი სამმართველოს დილეგებში იტანჯებიან, შიმშილობა გაგიცაცხადეს. ისინი პროტესტს აცხადებენ „სისტემატური თვითფეთქებისა, ანუ ოდ აგდებისა და „ეფერაცხეოფის“ წინააღმდეგ, რასაც პოლიციელები სჩადიან. პატიმრები, რომლებისთვისაც არ წაუყენებიათ არავითარი ბრალდება, მოითხოვენ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

„ᲯᲔᲛᲘᲜᲘ-4“-ᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს 18 საათსა და 16 წუთზე მოსკოვის დროით

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). ამერიკელი კოსმონავტები ედუარდ უაიტი და ჯიმმს მაკდივიტი, გაუშვეს კენედის კოსმოსურ ხომალდზე „ჯემინი-4“-ის ფრენის მეორე დღეს. ორბიტული ფრენის დასაწყისში „ჯემინი-4“-ის პერიგეა და აპოგია შესაბამისად უნდა იყოს 100 და 185 მილი. „ჯემინი-4“ წყალზე უნდა დაეშვას 400 მილზე ბერმუდის კუნძულების სამხრეთ-დასავლეთით.

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). ამერიკელი კოსმონავტების მაკდივიტისა და უაიტის ცდები, კოსმოსური ხომალდი „ჯემინი-4“ დაეახლოებინათ მატარებელი რაკეტის გამოყენებული მეორე საფეხურისათვის, უშედეგო გამოდგა, რადგან ხომალდი რამდენიმე ასეული ფუტით ძალლა აღმოჩნდა და მეორე საფეხურისა და კოსმოსური ხომალდის სიჩქარეთა სხვაობა ერთობ დიდი იყო. რამდენადაც „ჯემინი-4“-ს არა აქვს საწვავის საკმაო მარაგი ხანგრძლივი მახვევრირებისათვის, პიუსტონის საკონტროლო ცენტრმა ხომალდს გადაალაგა მითითება შეეწყვიტა მანევრირება. ამიტომ, პირველი დაგეგმილი დაკვლევა — ხომალდის დაახლოება მატარებელ რაკეტასთან არ შესრულებულა.

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). ამერიკელმა კოსმონავტებმა ქალაქ პიუსტონის საკონტროლო ცენტრს გადასცეს, რომ მათ დადაწყვიტეს მაორი უაიტის გასვლა კოსმოსში გადადონ შემდგომ, მესამე გარშემოვლამდე.

როგორც ქალაქ პიუსტონის საკონტროლო პუნქტის ოფიციალური განცხადებიდან ჩანს, მაკდივიტმა გადაწყვიტა გადადოს უაიტის გასვლა კოსმოსში, რამდენადაც იგი ვერ ეტეოდა ამ ექსპერიმენტისათვის ხომალდის მოამზადების გრაფიკში. გარდა ამისა, როგორც ზოგიერთი მიმოხილველი აღნიშნავს, ეტყობა, სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობდა კოსმოსური ხომალდის კაბინის დაკომპრესია.

მას შემდეგ რაც უშედეგო გამოდგა ცდა, რომ მეორე გარშემოვლის დროს დაეახლოებინათ ხომალდი რაკეტის მეორე საფეხურისათვის, როგორც ეს ფრენის პროგრამით იყო გათვალისწინებული, მნიშვნელოვნად შეიცვალა აგრეთვე კოსმონავტ უაიტის დავალება ხომალდიდან კოსმოსში მისი გასვლის დროს. გათვალისწინებული იყო, რომ კოსმონავტებს ხომალდი რაკეტის მეორე საფეხურთან უნდა მიეახლოებინათ 20 ფუტზე. ამ შემთხვევაში უაიტი უნდა გასულიყო ხომალდიდან კოსმოსში, მიახლოებოდა რაკეტის მეორე საფეხურს და, თუ მოახერხებდა, ხელითაც შეხებოდა მას. მაგრამ პირველ გარშემოვლაზე მანევრირების დროს მაკდივიტმა გადახარჯა კოსმოსური ხომალდის საწვავი, ისე, რომ ვერ მიაღწია საჭირო დისტანციას მატარებელ რაკეტამდე. მეორე საფეხური ნიუფაუნდლენდის დარჩა, — უმცირესი მანძილი ხომალდსა და მატარებელ რაკეტას შორის იყო სულ ცოტა 300-400 ფუტი.

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკდესი). ამერიკელი კოსმონავტი ედუარდ უაიტი ალექსი ლეონოვიის შემდეგ მეორე ადამიანია დედამიწაზე, რომელმაც განახორციელა გაშლილ კოსმოსში გასვლა. მან მოახდინა 20 წუთის კოსმოსური „გასეირნება“ კოსმოსური ხომალდის „ჯემინი-4“-ის ფრენის მესამე გარშემოვლის დროს.

◆

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲚ

ᲨᲔᲢᲔᲒᲐ კოსმოსზე გრძელდება.

თანამგზავრი „ჯემინი-4“, რომელშიც არიან კოსმონავტები ედუარდ უაიტი და ჯეიმს მაკდივიტი, გაუშვეს კენედის კოსმოსურ ხომალდზე მატარებელი რაკეტის „ტიტან-II“.

„ჯემინი-4“ ფრენის პროგრამა შეტანდ დიდია. მთავარი ამოცანაა გამოიკვლიონ, თუ რა გავლენას ახდენს ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა ადამიანის ორგანიზმზე.

ორბიტაზე რაკეტის მეორე საფეხურისა და თანამგზავრის გასვლის შემდეგ კოსმონავტებს თანამგზავრის ძრავების საშუალებით „ნარნარად“ უნდა მოეცილებინათ იგი საფეხურს ისე, რომ იგი მოშორებოდა მას სულ ბევრი 100 მეტრით. შემდეგ თანამგზავრი უნდა მობრუნებულიყო, მიახლოებოდა 5-10 მეტრით საფეხურს, შესალოა, შეხებოდა კიდეც მის წინა ნაწილს. ძრავებს მართავდა მაკდივიტი (ხომალდის მეთაური). როგორც ჩანს, მანევრები ორბიტაზე არც თუ ისე ადვილი საქმეა. დავიწყოთ იმით, რომ საფეხურისაგან თანამგზავრის მოშორება საკმაო „ნარნარი“ არ ყოფილა, და იგი აღმოჩნდა არა 100 მეტრ მანძილზე, როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული, არამედ 150 მეტრ მანძილზე. მეორე, მოშორების დროს წარმოიშვა მბრუნავი მომენტი და საფეხური ეკრა ძალა დატრიალდა საკმაოდ დიდი სიჩქარით (40 გრადუსამდე წამში), ისე რომ არავითარ „შეხებაზე“ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. 5-10 მეტრამდე დაახლოებაც არ მოხდა. როცა ხომალდი თანქმის 100 მეტრზე მიუახლოვდა საფეხურს, აღმოჩნდა, რომ სათბობის ნახევარი მარაგი, რაც განკუთვნილი იყო მიახლოებისათვის, უკვე დაეხარჯა. დედამიწიდან მაკდივიტს უბრძანეს შეეწყვიტა მიახლოება.

მეორე გარშემოვლის ბოლოს უაიტმა ვერ შეძლო თანამგზავრიდან გასვლა, კოსმონავტებმა ვერ მოასწრეს მომზადებულიყვნენ გასვლისათვის. გასვლა მოხდა მესამე გარშემოვლის ბოლოს. კოსმონავტმა გაიღო ლუკი, დადგა სავარძელზე, წელამდე ამოძვრა, შემდეგ კი მთლიანად გამოვიდა თანამგზავრიდან. უაიტმა კოსმოსურ სივრცეში დაჰყო თითქმის 20 წუთი და სარგებლობდა ინდივიდუალური რეაქტიული მოწყობილობით.

თანამგზავრის „ჯემინი-4“ ფრენა გრძელდება. ვუსურვოთ კოსმონავტებს მშვიდობით დაბრუნდნენ დედამიწაზე.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲣᲚᲘᲜᲘ

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞᲠᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ახალი ავჯავში · ყროჯეში

ფოთიდან ინდოეთის ოკეანეში

ფოთის ნავსადგურიდან ინდოეთის ოკეანის რაიონში გაეშვა საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ექსპედიცია სამი გემის — სატრანსპორტო-სამაცივრო გემების „ალაზნისა“ და „არაგვის“ და ნავთობის ჩახახმელ ტანკერ „ენგურის“ შემადგენლობით.

გემები მიდიან იქ, სადაც მუშაობს თევზსაჭერ-სამაცივრო ტრაულერი „ფოთი“, რომელსაც ჩაუტანენ გემისათვის საჭირო მთელ ქონებას — სურსათს, ტექნიკურ მოწყობილობას, ტარას, კულტინვენტარს, წერილებს, უურნალ-გაზეთებს, საწვავ და საცხებ მასალებს, ხოლო უკან, მშობლიური ნავსადგური ფოთში ჩამოიტანენ თევზის პროდუქციას და თევზის ფქვილს.

ექსპედიციას სათავეში უდგას გამოცდილი მეზღვაური დ. კარტოზია.

ტრაულერების „თბილისის“, „ფოთის“, „შოთა რუსთაველისა“ და ექსპედიციაში წასული გემების ქართველმა მებადურებმა იკისრეს ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

ვუსურვოთ ჩვენს მეზღვაურებსა და მებადურებს ბედნიერი ცურვა.

მ. ცქიტიშვილი,
საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს უფროსი.

მოკლედ

● **გორი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში დამთავრდა რაიონის ბავშვთა საავადმყოფოს მშენებლობა. საავადმყოფო, რომელიც აღჭურვილია უახლესი სამედიცინო ტექნიკით და სპეციალური კაბინეტები აქვს, 120-საწოლიანია. აქვეა პოლიკლინიკა.

● **ახალციხის** რაიონის თოკის საოსფლო კლუბთან არსებულმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ საგაზაფხულო სამუშაოების დამთავრებასთან დაკავშირებით გამართა მხატვრული საღამო, რომლის პროგრამაში იყო ლ. ჭუბაბრიას და ქ. მოდებაძის სკეტჩები და მინიატურები, აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

კ. შეშაბერიძე.

მოსნაველთა თვითმოქმედება

ჴიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში ოთხ ღიეს მიმდინარეობდა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება, რომელშიც ოცზე მეტი კოლექტივი მონაწილეობდა.

პირველ ადგილზე გამოვიდა ქალაქის მესამე საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მ. კაპანაძის ხელმძღვანელობით.



თევზაობის მოუვარულნი.
ფოტოტიუდი ა. არუთინოვისა.

პირველი ტურისტები თელავში

თელავის ტურისტული ბაზა მომზადებული შეხვდა სეზონს.

ბაზას ტურისტთა პირველი ჯგუფი ეწვია. ალმა დნეპროპეტროვსკელმა და ზაპოროჟიელმა ტურისტებმა აღმართეს. მათ დათვალიერეს თელავის ისტორიული ადგილები, წინანდალი და სხვ.

წელს თელავს 6.500 ტურისტი ეწვევა.

ე. ხმალაძე.

ეუფლებიან მედიცინას

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მუშაობა დაამთავრა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტმა, სადაც 120 მსმენელი გაეცნო სამამულო მედიცინის მიღწევებს, პირველი დახმარების წესებს, ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა-მკურნალობას, ჰიგიენის საფუძვლებს და სხვ.

შეცადინეობა საინტერესოდ მიმდინარეობდა, მსმენელებმა თეორიული და პრაქტიკული მომზადება გაიარეს.

დიმიტრი ჯანელიძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მწერალმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრის ისტორიის კათედრის გამგემ, დოცენტმა დიმიტრი სვასტის-ძე ჯანელიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ქართული თეატრი უძველესი დროიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა დ. ჯანელიძისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

მოსკოვის ჯგუფში

„ბაიმ-აუტის“ შემდეგ

ერთი დღის შესვენების შემდეგ, რომელსაც ჩემპიონატის ტაიმაუტი შეარქვეს, კალათბურთელებმა განაახლეს ბრძოლა.

პირველად მოედანზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდები. ამ ჩემპიონატზე უნგრეთის კალათბურთელთა მაზვენებლები მეტად დაბალი. გუშინ მათ კიდევ ერთი დამარცხება განიცადეს, ამჯერად 53:77.

იტალიელებმა დაამარცხეს ისრაელის გუნდი 68:47, საბჭოთა კალათბურთელებმა — ფინეთის ნაკრები 89:52. მატჩი რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს შორის დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით 59:55.

სნაიპერი

ოთხი ტურის შემდეგ სნაიპერთა ათეულს სათავეში უდგას იუგოსლავიელი **რ. კორაჩი,** რომელმაც თავის გუნდს ოთხ ტურში 92 ქულა შესძინა.

ჯარჯია გაღაიღო

გუშინ რიგაში გაიმართა მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მეექვსე პარტია **გ. სპასკისა** და **ე. გელერს** შორის. 42-ე სვლაზე პარტია გადადო რთული პოზიციაში.

ლიდერები არ შეცვლილა

შეჯიბრების მეხუთე ღლის ცენტრალური მატჩი იყო შეხვედრა ბულგარეთისა და საბერძნეთის გუნდებს შორის. არსებითად ის საკითხი წყდებოდა, თუ ვინ იქნება მესამე ადგილზე თბილისის ჯგუფში. მატჩის წინ პროგნოზებს რომ ადგენდნენ, მეტი წილი სპეციალისტები ბულგარელებისაკენ იხრებოდნენ, რადგან მხედველობაში ჰქონდათ მათი წარსული მოღწევები და ტურნირზე სამ მატჩში მოპოვებული დამჯერებელი გამარჯვებანი.

თამაშმა თავისი სპორტული დაძაბულობით, ორივე გუნდის გამარჯვებისადმი სწრაფვით და უკანასკნელი წუთების დრამატიზმით ყველა გაიტაცა.

ინიციატივა არაერთხელ გადადიოდა ხელიდან ხელში. მატჩის პირველ 15 წუთში უპირატესობა ჰქონდათ ბერძნებს, რომლებსაც ანგარიში მიჰყავდათ 5-6 ქულის სხვაობით. შემდეგ ინიციატივა გადავიდა ბულგარელ კალათბურთელთა მხარეზე და თამაშის პირველი ნახევარი მათ დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ ანგარიშით 37:30.

საბერძნეთის გუნდმა მძლავრი საურტით მე-6 წუთისათვის ანგარიშში სხვაობა მოსპო, ხოლო შემდეგ 4-5 ქულით გასწრება დაიწყო. 35-ე წუთისათვის შეხვედრის დაძაბულობა კულმინაციურ წერტილს აღწევს. ანგარიშია 58:56 საბერძნეთის სასარგებლოდ.

ამ წუთიდან გამარჯვების საკითხს მოთამაშეთა ნერვები წყვეტს. საბერძნეთის გუნდმა ჰპოვა ძალა იმისათვის, რომ ემოქმედნა უფრო აუღელვებლად და ზუსტად. ბულგარელი კალათბურთელები ნერვიულობდნენ, და ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა შეხვედრის საბოლოო შედეგზე. მატჩი დამთავრდა ბერძნების გამარჯვებით ანგარიშით 65:59.

პოლონეთ-შვეიცარია და იუგოსლავია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მატჩებში პოლონელთა და იუგოსლაველთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. მაყურებლები ამ მატჩებში ცდილობდნენ ერთხელ კიდევ აეწონ-დაწონათ ლიდერთა ძალები, რათა შეეფასებინათ მათი შესაძლებლობანი მომავალ შეხვედრაში. მაყურებლებს აინტერესებდათ მეორე საკითხიც — შეძლებდა თუ არა რომელიმე გუნდი ამ ორ მატჩში სარეკორდო შედეგის მიღწევას.

ორივე ლიდერმა ეს მატჩები დიდი ოსტატობით ჩაატარა, და საეჭვოა, რომ ვინმემ ობიექტურად განსაჯოს — ამ ორი გუნდიდან რომელია უფრო ძლიერი.

მაგრამ ანგარიშში სარეკორდო შედეგი მიღწეულ იქნა. პოლონეთ-შვეიცარიის მატჩი დამთავრდა ანგარიშით 93:41, ხოლო იუგოსლავია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კალათბურთელთა შეხვედრა — ანგარიშით 115:56. ეს ჩემპიონატის ახალი რეკორდია.

საფრანგეთ-ესპანეთის მატჩი, რომლითაც დამთავრდა შეჯიბრების გუშინდელი დღე, ფრანგებს აძლევდა პირველი გამარჯვების პოპოვების შესაძლებლობას, ესპანელებისათვის კი გამარჯვება ცხრილში მეხუთე ადგილზე განმტკიცების მომასწავებელი იქნებოდა.

ფრანგება ამჯერადაც წარუმატებლად გამოვიდნენ. მატჩი დამთავრდა ესპანელთა დამაჯერებელი გამარჯვებით ანგარიშით 90:77.

ნ. სემაშკო.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲔᲜ:

კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები ფინიშს უახლოდება. დღეს გაიმართება უკანასკნელისწინა მატჩები. თბილისის ჯგუფის გუნდების თამაშების განრიგი ასეთია:

16.00 ს. — **ᲒᲬᲠ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.**
17.30 ს. — **ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ — ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ.**
19.00 ს. — **ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ — ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ.**
20.30 ს. — **ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ.**

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივნისისათვის

მოსკოვის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
სსრ კავშირი	5	5	0	10
ჩეხოსლოვაკია	5	3	2	8
იტალია	5	3	2	8
ისრაელი	5	3	2	8
რუმინეთი	5	2	3	7
გდრ	5	2	3	7
ფინეთი	5	2	3	7
უნგრეთი	5	0	5	5

თბილისის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
იუგოსლავია	5	5	0	10
კოლონეთი	5	5	0	10
ბულგარეთი	5	3	2	8
საბერძნეთი	5	3	2	8
ესპანეთი	5	3	2	8
გფრ	5	1	4	6
საფრანგეთი	5	0	5	5
შვეიცარია	5	0	5	5

შენიშვნა: მოგება — 2 ქულა, წაგება — 1 ქულა.

მანჩესტერის საჭიდაო ხალიჩაზე

ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაზე ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდაეებმა ბევრი ვერაფრით გაგვახარეს. მხოლოდ ორი ოქროს მედალი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კი მესამე ადგილი — აი მათი ნადავლი.

მოსალოდნელი იყო, რომ საბჭოთა მოჭიდავეები მსოფლიოს ჩემპიონატზე მანჩესტერში რეკანშს აიღებდნენ და ტრადიციას ალადგენდნენ. დასაწყისში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო — რვა საბჭოთა მოჭიდავიდან ფინალში ექვსი გავიდა.

მაგრამ აი დასკვნითს შეხვედრებში, რომლებიც 3 ივნისს გვიან ღამით შედგა, ჩვენმა სპორტსმენებმა წაიბორძიკეს. მაგალითად, ქკემძიმე წონაში მსოფლიოში აღიარებულმა მოჭიდაეებმა ა. მედვედევმა ქულებით წაგო თურქ ა. აიკთან. ასევე წარუმატებლად გამოვიდა ფინალისტი ი. ფედეევი.

ჩემპიონატის მარათონის რთული დისტანცია ბრწყინვალედ გაიარეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ქვესაშუალო წონაში გურამ საღარაძემ და მძიმე წონის მოსკოველმა ალექსანდრე ივანოვიჩმ. სამწუხაროა, რომ შ. ლომიძე (საშუალო წონა), რომელიც ფინალში მონაწილეობდა, პრიზიორთა რიგებში ვერ მოხვდა. იგი მეოთხე ადგილზე გამოვიდა. ზ. ბერიაშვილმა (მსუბუქი წონა) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

აი როგორ განაწილდა წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილები: უმჩატეს წონაში — **რ. იოსიდა** (იაპონია), **ბ. ბაევი** (ბულგარეთი), **ლ. ოლეეტი** (უნგრეთი); მჩატე წონაში — **ტ. ფურკუდა** (იაპონია), **მ. ფარკხიანი** (ირანი), **კ. დოდრიმოტი** (აფრ); ქვემსუბუქ წონაში — **ს. სეფუური** (ირანი), **ს. კოლევი** (ბულგარეთი), **ტ. მორიტა** (იაპონია); მსუბუქ წონაში — **ა. მოვახედი** (ირანი), **ზ. ბერიაშვილი** (სსრ კავშირი), **მ. ათალაი** (თურქეთი); ქვესაშუალო წონაში — **გ. საღარაძე** (სსრ კავშირი), **მ. სანადკარანი** (ირანი), **ი. ვატანაბე** (იაპონია); საშუალო წონაში — **მ. მეხტიზადე** (ირანი), **ფ. ბოლა** (რუმინეთი), **ბ. გარჯიევი** (ბულგარეთი); ქვემძიმე წონაში — **ა. აიკი** (თურქეთი), **ა. მედვედი** (სსრ კავშირი), **ს. მუსტაფოვი** (ბულგარეთი); მძიმე წონაში — **ა. ივანიცკი** (სსრ კავშირი), **ლ. ახმედოვი** (ბულგარეთი), **ლ. კრისტოფი** (ამერიკის შეერთებული შტატები).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა **ირანი** (30,5 ქულა), მეორეზე — **ბულგარეთი** (26 ქულა), მესამეზე — სსრ კავშირი (24,5 ქულა).

გ. საღარაძე.

ა. ივანიცკი.

ზ. ბერიაშვილი.

ა. მედვედი.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 105-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1965 წლის 30 მაისს ქალაქ გორკში.

მოგება ხვდა სესხის თვრამეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000377	17*)	1.000	032332	1—50	40	063361	22*)	500
000601	10*)	5.000	032633	44*)	500	065015	28*)	500
000938	38*)	1.000	032783	36*)	1.000	065048	1—50	100
000952	1—50	40	034149	08*)	500	066828	37*)	1.000
003754	04*)	1.000	034631	1—50	40	067408	1—50	40
004379	1—50	40	035093	50*)	500	068503	38*)	500
004783	1—50	40	035424	47*)	500	068579	50*)	500
005404	13*)	500	037032	38*)	500	069332	1—50	100
005422	03*)	500	037621	30*)	1.000	069573	13*)	500
005756	01*)	500	037904	28*)	500	069727	01*)	500
007251	1—50	40	039552	1—50	40	070267	08*)	500
008058	36*)	500	039866	1—50	100	071523	09*)	500
008618	26*)	1.000	041045	11*)	500	071680	08*)	500
008975	42*)	500	041159	26*)	1.000	073821	47*)	500
009709	17*)	1.000	041265	01*)	500	076000	40*)	1.000
010175	1—50	40	041271	1—50	40	076434	05*)	500
010454	1—50	40	041591	12*)	500	076640	33*)	500
010703	17*)	500	041677	13*)	500	076958	31*)	500
011224	47*)	500	041924	29*)	1.000	078166	10*)	500
011513	17*)	1.000	041965	1—50	40	078428	21*)	1.000
011622	1—50	100	042366	1—50	100	078497	25*)	2.500
012382	15*)	500	043523	44*)	500	079692	27*)	1.000
013708	02*)	500	045460	1—50	40	080643	27*)	500
013855	25*)	500	045542	1—50	40	081272	1—50	40
014231	1—50	40	046563	1—50	40	081567	1—50	40
014983	1—50	100	047160	1—50	40	081677	1—50	100
015541	42*)	500	047691	1—50	40	083209	1—50	40
016202	14*)	500	048126	42*)	5.000	084176	42*)	1.000
016430	10*)	500	048130	1—50	40	084829	1—50	40
016778	12*)	1.000	048254	28*)	500	084934	07*)	500
017912	1—50	100	049596	1—50	100	086013	24*)	500
017951	50*)	2.500	050828	47*)	500	087113	1—50	40
018953	1—50	100	052692	10*)	1.000	087597	1—50	40
019643	36*)	500	052828	1—50	100	087677	29*)	500
020381	05*)	500	053405	39*)	1.000	087858	1—50	40
024427	1—50	40	054982	49*)	1.000	088452	35*)	500
025461	1—50	40	055147	40*)	500	090225	28*)	500
026033	1—50	40	055426	10*)	500	090836	1—50	40
026048	20*)	500	055861	24*)	500	091048	29*)	500
026260	16*)	500	055874	35*)	500	091231	1—50	40
026768	11*)	500	056419	28*)	1.000	091478	45*)	500
027264	1—50	40	056557	42*)	500	091543	27*)	500
027720	17*)	500	056767	16*)	1.000	091622	30*)	500
028027	38*)	500	057566	14*)	500	091718	1—50	40
028451	45*)	500	058779	1—50	40	092746	1—50	100
028565	1—50	40	058851	1—50	40	093078	36*)	500
028589	12*)	1.000	059068	31*)	1.000	093410	06*)	500
028722	1—50	40	059843	1—50	40	094142	17*)	500
028750	1—50	100	060091	1—50	40	094350	1—50	40
028842	1—50	40	060178	03*)	500	095434	04*)	1.000
030052	27*)	500	060699	36*)	500	096453	24*)	500
030465	02*)	500	061130	1—50	40	097524	22*)	1.000
030633	1—50	40	061233	12*)	500	097572	07*)	500
031828	19*)	500	061852	25*)	500	097683	46*)	500
031845	20*)	2.500	062075	29*)	500	098042	37*)	2.500
031901	1—50	40	062312	27*)	2.500	099042	30*)	500
031987	1—50	100				099320	04*)	500

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — გორკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ი. ი. ბირიუკოვი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

ნ. ვ. კუზნეცოვა

საჩივრებით კარდაკარ

საჩხერის აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი ჭალა. იქ კარგი ოჯახი შექმნილ ორ. ანა აბაშიძეს. მას ორი ვაჟი დარჩა. უფროსმა — ივლიანემ 1923 წელს დატოვა სოფელი. ცოლშვილით თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა. უმცროსი — ოჯახით სოფლად დარჩა და 1937 წელს დაიღუპა. ამის შემდეგ კარმადამის ოჯახის უმცროსი რძალი ნინო აბაშიძე გინაგებდა...

ცუდ ურთიერთობაში როდი ეყვნენ რძალ-მაზლი. მაგრამ 1955 წლიდან ყველაფერი აიშალა. ეს ამბავი ასე დაიწყო: ივლიანეს თბილისში — შევჩენკოს ქუჩა № 4 — ოთხოთახიანი ბინა ჰქონდა. იგი ქალაშვილს დაეტოვა, ხოლო მეუღლითა და ვაჟით სოფელში ჩამოვიდა. იგი ცალკე კომლად აღრიცხეს, კოლმეურნეობის წევრად მიიღეს და საკარმიდამო ნაკვეთიც მიუნაწილეს. ივლიანემ რძლის უნებართვოდ დაიკავა ორი ოთახი და იქ ოჯახით თვითნებურად შესახლდა. აქედან ატყდა დავა-შეურაცხყოფა, საჩივრები, სასამართლო-პროკურატურაში სიარული. რასაც ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო.

ივლიანემ სასამართლოს მიმართა და ნინო აბაშიძისაგან ქონების ნაწილი მოითხოვა. ადგილობრივმა სასამართლომ იგი დააკმაყოფილა. მაგრამ 1958 წლის 13 სექტემბერს საქმე განიხილა უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ. სასამართლომ დადასტურებულად სცნო, რომ სადავო ქონება ყოფილა, რომლის ერთადერთი წევრი ნინო აბაშიძეა. ივლიანე აბაშიძის ოჯახი აღრიცხულია ცალკე მეკომეურად და იგი ერთდროულად არ შეიძლება იყოს ორი კომლის წევრი, ისიც დადგინდა, რომ ი. აბაშიძეს ათეულ წლობით არ მიუღია შრომითი მონაწილეობა ნ. აბაშიძის კომლში და მისი შრომით არ გადიდებულა კომლის ქონება. სასამართლოს დადგენილებით ა. აბაშიძეს უარი ეთქვა ნინო აბაშიძის კომლიდან ქონების გამოყოფაზე, ხოლო ამ უკანასკნელს დაუტოვეს უფლება აღეძრა საქმე ი. აბაშიძის ბინიდან გამოსახლების თაობაზე.

დავა მწვავდება. სასამართლო საქმე ხან საჩხერეშია, ხან ჭიათურაში და ხანაც თბილისში. ვინ მოთვლის რამდენჯერ გადადგა პროცესი. ბოლოს იგი შეიგა ჭიათურაში 1959 წლის 9 ივლისს. სასამართლომ დაადგინა: დაკმაყოფილდეს ნინო აბაშიძის სარჩელი და მოპასუხე ი. აბაშიძე გამოსახლებულ იქნას სადავო ბინიდან.

ავლავ ქასაცია, ავლავ უმაღლესი სასამართლო. დამცველი მოითხოვს: ი. აბაშიძე უნდა დარჩეს ბინაში, ხოლო მოსარჩლემ მოითხოვოს ბინის ქირა.

1959 წლის 17 სექტემბერი. უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დაადგინა: გაუქმდეს ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და ნინო აბაშიძეს სარჩელზე ბინიდან ივლიანე აბაშიძის გამოსახლების შესახებ უარი ეთქვას.

საქმეში ჩაერია რესპუბლიკის პროკურატურა. 1960 წლის 14 აპრილს იწყება პროტესტი ზედწესით... იქ დასაბუთებულია, რომ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 17 სექტემბრის დადგენილება სწორი არ არის, იგი უნდა გაუქმდეს და ძალაში დარჩეს ჭიათურის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

1960 წლის 25 აპრილი. პროტესტი განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა და მას უარი უთხრა.

რძალ-მაზლის დავა, ურთიერთშეურაცხყოფა გრძელდება. 1961 წლის 6 სექტემბერი. საჩხერის რაიონის პროკურატურა ოფიციალურად წერს სოფელ ჭალის მესვეურებს, მოდავეებს, რომ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების ორივე დადგენილება ი. აბაშიძისათვის ქონების ნაწილის მიცემაზე და ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლებაზე უარისთქმის შესახებ ძალაშია შესული. პროკურორი განუმარტავს მათ, რომ ი. აბაშიძეს უფლება არა აქვს მიიღოს ნ. აბაშიძისაგან რაიმე ეძრავ-მოძრავი ქონება, ხოლო უფლებამოსილია მდგმურად იცხოვროს ნ. აბაშიძის სახლში.

1963 წლის 28 აგვისტოს ავლავ სასამართლო პროცესი საჩხერეში. აქ დადგინეს: ივლიანე აბაშიძე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საზოგადოებრივი გაკიცხვა.

რძალ-მაზლს შორის ურთიერთობა უფრო რთულდება. 1964 წლის 1 აპრილს საჩხერის რაიონის სასამართლო-პროკურატურაში ისევ ავლავ შედის ნ. აბაშიძის საჩივარი, რომ ი. აბაშიძე ავლავ შეურაცხყოფს მას, არ ეხდის ბინის ქირას. განცხადებაზე პროკურორის რეზოლუციაა: „გაუგზავნეთ სასამართლოს განსახილველად“. მაგრამ პროცესი აღარ შემდგარა, ალბათ ამ მოსაზრებით, რომ დადგენილება მაინც არ შესრულდება, რძალ-მაზლის დავა გაგრძელდება. სამწუხაროა, რომ ეს დავა ვერც საგამომძიებლო ორგანოებმა გადაწყვიტეს, ვერც სოფლის მესვეურებმა.

ასეთია ვითარება დადგენილებებით, ქაღალდებითა და სინამდვილეში. მაგრამ გვინდა მკითხველისა და მოდავეთა ყურადღება მივაპყროთ საქმის მეორე — ადამიანურ, მორალურ მხარეს.

ივლიანე აბაშიძეს ოთხმოცი წლისთვის ნინო აბაშიძეც. რძალ-მაზლი თითქოს და-ძმასავით, სიამტკბილობით უნდა ცხოვრობდნენ. ეს ორი ხანდაზმული ადამიანი კი დღეს არ გიუშვებს, რომ ერთმანეთი არ გალანძღონ, ნერვები არ აიშალონ. განა ეს შეეფერება მათს განათლებას ან ასაკს? ივლიანეს და ნინოს დადგენილებები აკინძული აქვთ და გვარწმუნებენ თავიანთ სიმართლეში, მაგრამ მათ გვინდა შევახსენოთ დიდი ილიას სიტყვები:

„ქვეყანაზე ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა ამ სამყაროსა და სიტკბოებით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს“...

ჯ. ჭიოკაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲘ

7-ᲓᲐᲜ 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ რუსთაველის სახელობის კინოთეატრსა და „ამირანში“ ეწყობა ახალი ქართული კინოფილმების დეკადა.

ნაჩვენები იქნება სამი ახალი კინოსურათი.

7-10 ᲘᲕᲜᲘᲡ

„ᲛᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲛᲖᲔᲡ“

სცენარის ავტორები: ნ. ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ლ. ᲚᲝᲚᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ, დამდგმელი რეჟისორი ᲚᲐᲜᲐ ᲚᲝᲚᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

11-13 ᲘᲕᲜᲘᲡ

„ᲒᲝᲓᲘᲨᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲔᲚᲘᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ“

სცენარის ავტორები: Ა. ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲯᲐᲨᲕᲐᲠᲘᲫᲔ, დამდგმელი რეჟისორი Გ. ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔ.

14-16 ᲘᲕᲜᲘᲡ

„ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲕᲔᲚᲐᲠ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ!“

სცენარის ავტორები: ნ. ᲬᲣᲚᲔᲘᲡᲙᲘᲠᲘ, Მ. ᲕᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ, დამდგმელი რეჟისორი Მ. ᲕᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: კადრი ფილმიდან „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“.

თეატრები

5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო (მე-10 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **რუსთაველის** სახელობის დიდი დრამაზი — აკვარიუმი (25-ე და გაცდენილი აბონემენტები), **რუსთაველის** სახელობის მცირე დრამაზი — დაკარგული ბარათი (უაბონ. მ ე ნ ტ ო). **მარჯანიშვილის** სახელობის — მე, ებია, ილიკო და ილარიონი (მე-7 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **გრიბოედოვის** სახელობის — საუნოა მატყუარა (მე-4 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — სტუდენტები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (№ 17 და 22 აბონ. საკ. 6 ს.).

ტელევიზია

5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — ოქტომბრელთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჭეჭილი“, 17.40 — გადაცემა „რობერტ შუმანი“, 18.20 — კინონარკვევი, 18.40 — გადაცემა „ახალი ქართული ფილმები“, 19.20 — გადაცემა — გამოჩენილი ქართველი მკვლევარი